<u>**წარმოსადგენი დოკუმენტებიი**</u>

1. განაცხადის ფორმა;
2. უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
5. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ
6. შესასყიდი მომსახურების/საქონლის ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - მხარეთა რეკვიზიტები;
    - მიწოდების ვადა;
    - ღირებულება ეროვნულ ვალუტაში.

7. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირის ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ბუღალტრული აღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში არსებული პირის (რომელსაც აქვს I, II, III ან IV კატეგორია) საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული შემნახველი სამაცივრე მეურნეობის ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება და ბაღ(ებ)ის არსებობის დამადასტურებელი სურათები და მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - დასაფინანსებელი მაცივრ(ებ)ის ჯამური ტევადობის შესახებ (კამერების მიხედვით);
    - პოტენციური ბენეფიციარის ან/და მის მეპაიეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობ(ებ)ზე ლურჯი მოცვის ან/და მაყვლის ან/და ჟოლოს ბაღ(ებ)ის არსებობის შესახებ.
8. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ანდა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირის საექსპერტო დასკვნა შემნახველი საწარმოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ;

9. მიწის ნაკვეთის კოოპერატივის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან), სადაც დაგეგმილია შესანახი მაცივრის მოწყობა;
10. სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა დასაფინანსებელი მაცივრ(ებ)ის ტექნიკური პარამეტრებისა და დაგეგმილი კულტურების შენახვის სპეციფიკის ურთიერთშესაბამისობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს საწარმოს მოცულობას/დაგეგმილი კულტურების ერთჯერადად შენახვის ტონაჟობას და თანდართული უნდა ქონდეს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში“ წარდგენილი დოკუმენტაცია;
11. მშენებლობის ნებართვა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
12. პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი მოცულობის სესხის/ლიზინგის დამტკიცების შესახებ ან/და თანამონაწილეობის ალტერნატიული წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი;

13. საბანკო რეკვიზიტები;
14. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.